KA030166156850918

№ 01-9200 **27 / აპრილი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

თქვენი მიმდინარე წლის 24 აპრილის № 01-8971 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის ძალაში შესვლის პერიოდისთვის დაგეგმილი და უკვე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოწოდების საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 30/05/2017, 340150000.05.001.018458) შესაბამისად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ იქნა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 იანვრის № 14 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) ზღვრულად დასაშვები ნორმები, მათი გაზომვისა და რეგულირების წესები და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფზე/ბლოკსა და შეფუთვაზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებები და მათი დატანის წესი“.

დღეისათვის, მომზადებულია და გადის დამტკიცების პროცედურებს:

„საჯარო დაწესებულებაში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის დაცვისა და სახელმწიფოს თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

„თამბაქოს მწარმოებლის ან/და იმპორტიორის მიერ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალისა და თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების თაობაზე ინფორმაციის ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი;

„თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ფილმში/ სხვა შემოქმედებით პროდუქციაში დემონსტრაციის შემთხვევაში გამოსაყენებელი ტელე ან რადიორგოლი და ბეჭდვითი მასალისათვის განკუთვნილი პიქტოგრამა თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი („რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8^2 მუხლის შესაბამისად).

პატივისცემით,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

მარინა დარახველიძე